ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3074085

ნომერი: AR1474560

თარიღი : 31.01.2017

გაცემის თარიღი : 07.02.2017

გაცნობის თარიღი : 14.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გობრონიძის , N 7 / ქალაქი თბილისი , მუხიანის დასახლებაში მიმავალი , გზის მარჯვენა მხარე ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა ღუდუშაური პ/ნ 01008054066
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 45 კორ. 26 ბ. 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 დეკემბრის №3024338 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 31

იანვრის #AR1474560 განცხადებით მომართეს ლუკა ღუდუშაურმა და მამია ჯაშმა, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 დეკემბრის №3024338 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისში, ქუჩა გობრონიძის , N 7 /ქალაქი თბილისი , მუხიანის დასახლებაში მიმავალი, გზის მარჯვენა მხარე, შპს „არჩევანი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.11.13.002.211), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 28 დეკემბრიდან 2021 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით.

განმცხადებლების განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 28 დეკემბრის №3024338 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა შეცდომა, კერძოდ, არასწორად იქნა მითითებული საზაფხულო ფართობი, რომელიც 4063.9 კვ.მ–ის ნაცვლად შეადგენს 4066.9 კვ.მ.-ს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2016 წლის 28 დეკემბრის №3024338 ბრძანებაში და დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 4066.9;

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებამ, ასევე გამოიწვია ბრძანებაში დაფიქსირებული საერთო ფართობის მაჩვენებლის შეცვლა, რომელიც ცვლილებების შედეგად შეადგენს: 33591.7კვ.მ.–ს.

გარდა ამისა, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილ იქნა შესწორებული +-0.00 ნიშნულის, +16.5 ნიშნულის, +26.4 ნიშნულის და +36.3 ნიშნულის გეგმები, რომლებიც იდენტურია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2016 წლის 28 დეკემბრის №3024338 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:4066.9; საერთო ფართობი (კვ.მ).: 33591.7;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 დეკემბრის №3024338 ბრძანებით შეთანხმებული +-0.00 ნიშნულის, +16.5 ნიშნულის, +26.4 ნიშნულის და +36.3 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს 2017 წლის 31 იანვრის #AR1474560 განცხადებით წარმოდგენილი +-0.00 ნიშნულის, +16.5 ნიშნულის, +26.4 ნიშნულის და +36.3 ნიშნულის გეგმებით;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 დეკემბრის №3024338 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.